სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

92293684514522

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220143272

რეგისტრაციის თარიღი

14.02.2022 წ

ნოტარიუსი: სოფიო ხიალოვა
მისამართი: ქ. გარდაბანი სადგურის ქ. №1
ტელეფონი: 8372222110

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის თოთხმეტ თებერვალს მე, ნოტარიუს სოფიო ხიალოვას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. გარდაბანი სადგურის ქ. №1, მომმართა მოქალაქე **მიხეილ ჯოხაძემ**(დაბ.26.06.1982წ. დაბადების ადგილი: გარდაბანი, რეგისტრირებული მისამართზე: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გარდაბანი, 9 მაისის ქ. №2, ბინა 18, პ№12001029420), როგორც შპს „ ქონსტრაქშენ მატერიალს"-ის დირექტორმა, დამფუძნებელმა პარტნიორმა და 100% წილის მფლობელმა, შემდგომში „საკუთრების მიმნდობი", რომელმაც განაცხადა, რომ მას სურს მინდობილობა მისცეს მოქალაქე **ელნურ შირმამედოვს** (დაბ.05.07.1993 წ. დაბადების ადგილი: გარდაბანი, რეგისტრირებული მისამართზე: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, ქალაქი გარდაბანი, ს. ვურღუნის ქ. №1, პ№12001094480), შემდგომში „მინდობილი პირი". მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე „საკუთრების მიმნდობი"ს პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. დავადგინე მისი უფლებამოსილება და ნების გამოხატვის სინამდვილე. შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე „საკუთრების მიმნდობს" და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან განაცხადა, რომ ნოტარიუსის განმარტება მისთვის გასაგებია. შემდეგ მან პირადად წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ ტექსტი ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მოქ. **მიხეილ ჯოხაძემ**, როგორც შპს „ ქონსტრაქშენ მატერიალს "-ის დირექტორმა, დამფუძნებელმა პარტნიორმა და 100% წილის მფლობელმა (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან,საიდენტიფიკაციო ნომერი 426540031, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი B19145970, ამონაწერის მომზადების თარიღი : 27/12/2019 16:24:21) ამ მინდობილობით ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოქ. **ელნურ შირმამედოვს** „მინდობილ პირს" და მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილებები:

– შპს „ ქონსტრაქშენ მატერიალს "-ის სახელით აწარმოოს კანონით ნებადართული ნებისმიერი საქმიანობა, საჭიროების შემთხვევაში შეწყვიტოს საქმიანობა, გააუქმოს საიდენტიფიკაციო კოდი. შეცვალოს, შეაკეთოს ან დახუროს სალარო აპარატი და დადგას ახალი, უფლებამოსილებას ვანიჭებ ტერმინალიდან მიიღოს შპს „ ქონსტრაქშენ მატერიალს "-ის სახელზე ჩამოსული ნებისმიერი ტვირთი და გადაიტანოს იგი საჭიროების ადგილზე. იყიდოს და გაყიდოს ნებისმიერი სახის საქონელი, როგორც საქართველოში, ისე მისი ფარგლებს გარეთ. იყოს შპს „ ქონსტრაქშენ მატერიალს "-ის წარმომადგენელი სსიპ შსს მომსახრების სააგენტოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, საბაჟო დეპარტამენტის სამსახურებში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების ზონაში და გაფორმების ეკონომიკურ ზონაში (გეზი), განაბაჟოს და აწარმოოს ყველა საბაჟო და სატერმინალო ოპერაციები და გაფორმება.

– საქართველოს ბანკებში, მათ ფილიალებსა და განყოფილებებში, „საკუთრების მიმნდობის" სახელზე გახსნილ ანგარიშებზე, მათ შორის, სს „თიბისი ბანკში" გახსნილ

ანგარიშზე, აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციები: შეიტანოს, გამოიტანოს, გადარიცხოს თანხები, განახორციელოს კონვერტაცია, გაიგოს ნაშთი, დაფაროს კრედიტები, გადაიხადოს კომუნალური და ნებისმიერი სახის გადასახადები და ა.შ., ისარგებლოს დისტანციური სერვისებით (იბანკ, მბანკ, სმს ბანკი), უფლება ეძლევა დიჯიპასის გაწერასა და მომსახურებაზე, მიიღოს ამონაწერი, ისარგებლოს „საკუთრების მიმნდობის" სახელზე დამზადებული პლასტიკური ბარათით ან დაუმზადდეს ახალი პლასტიკური ბარათი „საკუთრების მიმნდობის" სახელზე გამოყენების უფლებით და ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რითაც ისარგებლებდა „საკუთრების მიმნდობი". საჭიროების შემთხვევაში გახსნას ახალი ანგარიში ან დახუროს არსებული.

– იყოს ჩემი წარმომადგენელი სამინისტროებში, ყველა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, ფინანსურ პოლიციაში. ხელი მოაწეროს და შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს ნებისმიერი სახის ცნობები და დოკუმენტაცია, ისარგებლოს ელექტრონული ტექნოლოგიების საშუალებებით, მიიღოს და გააგზავნოს ელ. Gგზავნილები, საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შედარებების პროცედურა და გამოვლენილი დავალიანებების ან ჯარიმების შემთხვევაში გადაიხადოს ისინი, შეავსოს და წარადგინოს დეკლარაციები. საჭიროების მიხედვით შეადგინოს და ხელი მოაწეროს სხვადასხვა სახის შეთანხმებებს, აგრეთვე, შედარების და მიღება-ჩაბარების აქტებს.

– უფლებამოსილებას ვაძლევ შეასრულოს ყველა სხვა საჭირო მოქმედება , რომელიც არ არის მოყვანილი მინდობილობაში, მაგრამ საჭიროა აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

– მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარ შეტყობინებით.

– „ საკუთრების მიმნდობის" ან „მინდობილი პირის" გარდაცვალება, აგრეთვე ქმედუუნარობა წყვეტს მინდობილობას.

მე, ნოტარიუსმა სოფიო ხიალოვამ, ეს მინდობილობა შევადგინე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს სოფიო ხიალოვას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „ საკუთრების მიმნდობს".

მინდობილობა გაცემულია 2(ორი) წლის ვადით .

ნოტარიუსის საზღაური თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის , მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31.7 და 39.1 მუხლებისა შეადგენს 10(ათი)+ 2(ორი) ლარს

ხელმოწერა ----------

ნოტარიუსი: ს. ხიალოვა